შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 28961

05/06/2014

აუდიტორის უფლებამოსილების და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხზე კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების განმხილველი კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ

„საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირის შერჩევისა და საგადასახადო კონტროლის განხორციელების, მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდაღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებით დამტკიცებული წესის 37^2 მუხლის მე-16 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აუდიტორის უფლებამოსილების და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხზე კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - შემოსავლების სამსახურში (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირაკლი გვარამაძე - შემოსავლების სამსახურის უფროსი, საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ბაქარ დევდარიანი - შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

გ) ლევან წითელაშვილი - შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

დ) შალვა კოპალეიშვილი - შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე;

ე) თამარ გიორგაძე - შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის მრჩეველი, კომისიის სხდომის მდივანი.

2. დამტკიცდეს „აუდიტორის უფლებამოსილების და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების საკითხზე კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი პრეტენზიების განმხილველი კომისიის დებულება“ (დანართი N1).

3. შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს ამ ბრძანების შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსება.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 9 ივნისიდან.

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური